

ახალი

100433

No 8

ଓର୍କୁଣିର୍ବୀଳିର ଶୁଣିନାଲିର.

No. 8.

შემდეგი № გამოვა 15 ივლისს.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო მთა-  
ვრობის ხელის დამოუკიდებელ ორკვირულ უ-  
რნალ „ახალ სიტყვაზე.“ ურნალის მიზანია  
ჩვენის უკკლესის ცხოვრების განახლება შპ.  
სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლო-  
ბასთან და ფარისევლობასთან სასულიერო  
უწყებაში.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით  
კერა მანეთია. კალკული ნომერი მოხი აბაზი.

რედაქცია სოხოვს სამრევლო საბჭოებს,

შეგნებულ სასულიერო და ხერო მორწმუნე  
პირთ დახმარება აღმოუჩინონ მას ეურნალის  
გამოწერით და ერთ დროული შემოწირულე-  
ბით სარედაქციო ფონდისათვის.

զայլո մոռցի հցայշուն մոռարց մլ.  
ուսազ հայուրածունոն: Ծովոնես, անին ե-  
րոն յայիս, Տա. № 1.

სარედაქციო მხალები და წერილები  
უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლეგი-  
ის აწმუნებულ მღ. ქ. ციცქაშვილთან:  
ტფილისი, კაბერენვის ქუჩა, № 47. რედა-  
ქცია იმავე ქუჩაზე: № 51.

## რედაქციისაგან.

იმათვეის, ვისაკ თეთრი ბატქანი უსა-  
თუოდ მსუქანი ჰგონიათ და ყოველი უფრო-  
სი მაღალ გონიერების და სპერაკ ზეობს-ს  
საუჯედ ჰყავთ წარმოდგენილი, დაუჯერებ-  
ბელია ის მწარე სინამდვილე პატრიოტ-კათო-  
ლიკოზის ცხოვრება-მოქმედებიდან, რომლის  
ნაწილს „ა. სიტ.“ დრო-გამო შეებით აქვეყნებს  
ხოლმე ნება-უნებლივ და გულის ტკენით,—  
სათაკილოა ის ჭაბი, რომელიც ჩვენდა სა-  
მწუხაროდ, გაჩნდა და აშშო + და კირიონ მე-  
ორის სახელის და წრის გარეშემო. განსაკუთრე-  
ბით პროვინციელ მკიონებებს არა სჯერათ მი-  
მდინარე უხეში და უმსგავსო ფაქტები. მა-  
გრამ თვით ეს იჭვი და დაუჯერებლობა მხო-  
ლოდ იმას ამტკიცებს, რომ სიმწყის არ  
უნდა არსებობდეს ასეთი სინამდვილე და, მა-  
შასადამე, საჭირო მიუ შეკვლა-გათა მნა.

ზოგიერთნი, ოინბაზობა-ინტრიკივებში და-

ხლოვნებულნი, ბოროტად ხარგებლობენ მო-  
რწმუნე ერს ამ სურვილით და, რომ გააქარ-  
წყონა ბედშავ სინამდვილის შთაბეჭილება  
ხმას აკაცელებენ, რომ „ახალი სიტ-  
ყმა“ ვითომ თბილებ მიტროპოლიტ ლეონი-  
დის გაზეთია მისი მომხრეა და მის ხარჯით  
გამოდის, და ამას იმით ასბუთებენ, რომ  
ჩევნი გახეთი არ კიცხავს მიტროპოლიტ ლე-  
ონის.

ამიტომ ჩედაქცია გადაჭრით აცხადებს,  
რომ ა) ის პატრიარქ-კათოლიკოზის და სხვა-  
თა შესახევ იმედოვნებს მხოლოდ ნამდვილ და  
ყოველ მხრივ შემოწმებულ ფაქტებს და პა-  
სუხის გეგელია მათ სინამდვილეში, ბ) მი-  
ტროპოლიტ ლეონიძს არავითარი დამოკი-  
დებულება არ ჰქონდა და არ იქნა ჩვენს გა-  
ზეთოან თვინიერ იმისა, რომ ის ერთი ხელ-  
მომწერთაგანია, გ) ჩვენი განხორცი გამოისი  
ხელის მომწერთა ხარჯით და ვინაიდგან, რო-  
გორც თითქმის ყოველ სხვა თანამდებროვე  
ქართულ გზაზე, ხელისმოწერის ფასი არ

ჰყოფნის ჩვენის გაზეთის ხარჯსა, რომელიც თვეში 800 მანეთს უდრის გარდა უფასო შრომის და უფასო ბინასა, მთელ დანარჩენ ხარჯს იძლევიან გამომცემელი ამხანაგობა და თბილისის ეკკლესიები სამრევლო საბჭოების მიერ არჩეულ კომისიის განაწილებისამეტრ, და დ) თუ არ ვკიცხავთ მიტროპოლიტ ლეონიდს, არ ვკიცხავთ იმ მიზეზებისა გამო, რა მიზეზებითაც არ ვკიცხავთ საქართველოს ეკკლესიისთვის მართლა ტანჯულ-წამებულ მიტროპოლიტ ამბროსი ქუმნიდელს, სიმართლე ქეშმარიტებისთვის თავდადებულ ეპისკოპოს დავით ურბნელს, ქართველურად გულლია, მშრომელ ეპისკოპოს პირს აღ ავერდეს და სხვათა

მოგვაწოდონ ქუჩის ჭრები კი არა, და-საბუთებული ფაქტები საზოგადო საქმის და-ლატისა და თაღლითობისა ვისზედაც სურ-დესთ და რედაქცია დაუყონებლივ აღნუ-სხავს. ამას საჯაროდ ვძირდებით ყველას. შე-თხვევ და გამოგონება კი რა-არსებულ დანა-შაულობათა მხოლოდ იმისთვის, რომ ზოგი-ერთებს ვასიძმოვნოთ ან სხვისი მართლა ნა-კლულოვანი ამით დავთაროთ, ჩვენ არ შე-გვიძლია და ვერც ვიკისრებთ.

ზოლოს ამასაც დავუზარებთ მართალია ზოგიერთი ფაქტები იკკლესიურ ცხოვრები-დან, „ახალ სიტყვის“ მ. ერ გამოქვეყნებუ-ლნი, ფრიად სამარცხებინონია, მაგრამ სხეუ-ლებას გამოაშკარავება უნდა და მუწუქს გა-მორწყვა, რომ სხეული (იმ შემთხვევაში ეკ-კლესია) უფრო არ დანეცულდეს. ჭირის მა-ლვა არავის სარგებლობას არ მოუტანს. მო-რწმუნე ხალხი ვალდებულია იცოდეს ეკკლე-სიურ ცხოვრების ნაკლულებმნებანი, რომ მომავალში ავიკილოთ იგინი. ბოლოტების ქმა არის ცხოვრების დამრღვეველი და არა ამ ბოროტების თქვა და გამჭვინება..

## სასულიერო სახწავლებლე- ბის ბედილბალა.

18 ივნისს შესდგა იმ კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა გამოერკვია საქართველოს სასულიერო სასწავლებლოთა მდგომარეობა. კომისიის, რომელსაც თ ვმჯდომარეობდა პი-რველ გიმნაზიის დირექტორი, ბ. იაკობ სო-ლომონისძე ღულაძე, გამოუთქვამს სურვი-ლი ეს სასწავლებლები დარჩენ ისევ საული-

ერო მთავრობის ხელში და განეგრძოს მათ ძლევა ხაზინიდან დახმარებსა. ჩვენ არ ვ-ციო კომისიის აზრი საბოლოოვა, თუ არა, არ ვიცით შემდეგ მოგზაურობაში რა დაემა-რთება ამ აზრს, ხოლო ჩვენს აზრს იღმისულ სავნის შესახებ გაუჟიარებთ პკითველებს.

ზოგიერთებს ჩვენი ეკკლესია წარმოუ-დგენია ისეთ ორგანიზაციიდ, როგორიც უყ და რამოდენადმე დღესაც არის რომის ეკკლე-სია, რომლის ძალა ვრცელდებოდა მთელ ევროპაზე და იმას იქითაც და რომლის წინა-შეც თრთოვენ ევროპის მეფენი და იმპერა-ტორები. ვინც ასე წარმოიდგენს ჩვენს ეკ-კლესის და მოემზადება მასთან საბრძოლვე-ლად, ის, ჩვენის ფიქრით, ქარის წისქვილე-ბის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებმის. აღმოსა-ვრეთის ეკკლესიებს ისტორიაში სულ სხვა, უფრო კეთილშობილური როლი დაკისრია. ბერძენთა ეკკლესიამ შეინახა თამაღლეთის იშ-პერიის ბერძნობა, სომხეთის ეკკლესიამ სო-მხები და სხვა, აღმოსავლეთში ეკკლესია მტრულად განწყობილი არ ყოფილა ხალხის ბედთან. კერძოდ საქართველოს საზღვდელოე-ბაში არაოდეს არ დაშეეტალა ხალხის ჭირ-ვარამის გაზ არების გრძნობა. გაეისხენთ ფილადელფის ბერი კინაძე, ტარასი არქი-ძენდრიტი, გაბრიელ ეპისკოპოსი და სხვანი მრავალი, რომელთაც გამშარებული ჰქონ-დათ სული და სიცოცხლე რუსის მთავრობი-საგან. ეს იყო მე-XIX საუკუნეში. რაც შე-ეხება წინა დროებს, იმაზე ლაპარაკიც არა ღირს, ისდაც ცხადია, რა დიდი, ქვეყნი-სოფის სასარგებლო როლი შეასრულეს სასუ-ლიერო პირებმა: გიორგი მთაწმინდელმა, გრიგოლ ხანძთელმა და მრავალმა სხვამ.

დღეს ქართული ეკკლესია გათვალისუ-ფლდა ოვითმცყრობელობის კლან ჭებიდან და აპირობებს მოწყობს ისე, რომ ხ. ლიხისაოვის გა-ხდეს ზენობრივად ამამ. ლოებელი. მართალია განახლებულ ეკკლესიას თავიდანვე ბევრი ნა-კლულებანება ზაჟყვა, მაგრამ ვიმედოვნებთ მომავალში ყველაფერი გამოვაწოროთ. რეგი და სამართლი მოიხვევს მთავრობამ ხელი შეუწყოს კკლესის აღმრბილებას რომ ამა-ნაც თავის მხრივ განამტკიცოს საქართვე-



ლოს ხელმწიფება. ერთ ასეთ დახმარებად მთავრობის მხრივ ეკკლესიისათვის იქნება სასულიერო სასწავლებლების დატოვება ეკკლესიის გამგეობაში. ეკკლესიის სჭირდება განათლებული სასულიერო პირნი; ხალხი უკკლესიოდ და უმღვდლოდ არ დარჩება, რაც უნდა იყოს. და ჩვენის ღრმა რწევნით ხალხისთვის ერთი არ არის, ეყოლება მას მოძღვად გაუნათლებელი, ცრუმორწმუნებ, ჩვეულებრივი მესაკურთხე მღვდელი, თუ გონება და ზნეობა მაღალი, როგორც ჰყავთ ჯრობაში და კერძოთ გერმანიაში.

რა შიში აქვს მთავრობის, რომ სასულიერო სასწავლებლები დარჩეს ეკკლესიის ხელში? ჩვენი საეკკლესიო კრების დადგვნელებით სასულიერო სასწავლებლები უნდა გადაკეთდენ პროგრენაზია-გიმნაზიებად, სადაც უნდა სავალდებულოდ ისწავლებოდეს საღვთო სჯული და საეკკლესიო გალობა. დანარჩენი საგნები ისევე უნდა ისწავლებოდეს, როგორც სხვა საერთო სასწავლებლებში. ნუ თუ არ უნდა შეგვტკივედეს გული, რომ სასულიერო გალობა გაუმჯობესდეს და არ იმკვდარუნოს ისე, როგორც ამ არი წლის განმავლობაში იყო? ეკკლესიამ თვითონ იზრუნოს როგორც უნდა ამ საქმეზე, იტყვიან. ეს არის აზრი, გამორჩეული იქითგან, სადაც მან ზნეობრივად ძირს დასტურად და ფიზიკურად გადაშენების გზაზე დააყენა ხალხი. თუ ამ აზრს მივყევით, ცხადია, რაც მოუვა, ისედაც გზა დაბნეულს და მცირე რიცხვოვნის ქართველებს.

დღემდის სასულიერო სასწავლებლები იძლეოდენ ბევრ კარგსა და ხშირად შესანიშნავ მოღვაწეებსაც, და არაფერი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომავლში ეს ასე აღარ იქნეს. ხშირად სასულიერო სასწავლებლებიდან გამოსულ ატეისტებსაც კი ძალა-რბილში აქვთ გამჯდარი ის მაღალი აზრები და ზნეობრივი მიღრეკილება, რომელიც მათ შეუთვისებით სახარებიდან და ბიბლიიდან... ამას გარდა შემჩნეული არის. სასულიერო სასწავლებლების მოწაფენი ფრიად შრომის მოყვარენი და მტკიცე ხასიათისანი გამოდიან, რაიცა სასურველ მოვლენად უნდა ჩითვალოს.

ჩვენ გვვონია, უმჯობესია სასულიერო სასწავლებლები დაუტოვოს მთავრობამ ეკკლესიის იმ დახმარებით, როგორც დღემდე აძლევდა. ამით არამც თუ არაფერი წახდება, პირიქით ერთს კულტურის მრავალფეროვნება, სიცხოველე და სიმდიდრე მიემატება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეკრმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში ებრძოდენ ისე თავვამოდებით რომის ცენტრალისტურ ეკკლესიას, მართლა ძლიერსა და მავნებელ ორგანიზაციას, რადგან ამას შექმნადა ყველა კათოლიკურ სახელმწიფო ებრძი იდეა პაპიზმის გაძლიერებისა და ადგილობრივ მკეიდროთ შორის ხელს უწყობდა მათს დენაციონალიზაციას, და როცა ეკკლესიას ებრძოდენ, მაშინ ებრძოდენ, განსაკუთრებით გერმანიაში და ინგლისში, უცხო ქვეყნის არა სასურველ გავლენას, მიზნად ისახავდენ უცხოელთა მიერ დადგმულ ამ უდლისაგან განთავისუფლებას.

## სიტეზა,

ოქმული ვ. ა. გობეგიას ანდერძის აგების წინ ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკკლესიაში, 1918 წლის ივნისის 23.

გიდრე უაში გვაქვს გიქმოდეთ კეთილსა ყოველთა მიმართ (გალ. 6, 10).

მცნებად დაგვიდო წმ. მოციქულმა და ეს მცნება ღრმად ჰქონდა აღმეცდილი გულის ფიცარზე წინაშე ჩვენსა მდებარე ვ. ა. გობეგიას: მშობელი მხარე და რუსეთის ყოფილი სამფლობელო, სამხრეთ-დასავლეთის ფრინტი და არზაუმ ერძინჯიანის მიღამოები მოწმობენ მისის თავვანწირულის შრომისათვის ყოველთა კეთილის ხაყოფელად...

ამ წმიდა ადგილითგან აღსანიშნავია შემდეგი: ყოველთათვის ზრუნვის ღროს, განსვენებულს არ ჰქონდა დავიწყებული ჩვენის ერთს სარწმუნოებრივი მოთხოვნილება, რომლის საჭიროებათა დაუყონებლივ დაკავეულება მან გადაჭრით მოითხოვა ამა წლის თებერვლის 9 ამავრ-კავკასიის კომისარიატის ოფიციალ სხდომაზე. შეკითხვაზედ, თუ რა-რაზედ ამყარებს ის ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობის, განსვენებულმა განაცხადა: ჩვენი მოვალეობაა ხელი

შეუწყოთ ყველას, ვინც საღს სარწმუნოებრივ სწავლის ავტორებსო...»

ქვეშმარიტად, ჩეენში რომ საღის სარწმუნოებრივის სწავლისათვის ეზრუნათ, მტკიცედ დაეცვათ ქრისტეს სჯული, პატივისცემით მოპკერობოდნენ სხვის სარწმუნოების, — აქარა არ ჩამოგაშორდებოდა, ინგილომაშიძიანები და ინგილო-ქრისტიანები ძმურად იცხოვრებოდნენ ერთმანერთში და თვით ვლადიმირ გობეჩია დღეს აქ მდგბარე არ იქნებოდა!..»

შევისწავოთ: დღის განგება კიდევ გვაფრთხილებს! ის გვეუბნება: ქრისტეს დიალის მცნების — ურთიერთს სიყვარულის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია და, ძისთვის, თუ გნებავთ განთავისუფლებულ საქრთველოში განვითარდეს თავისუფალი მოქალაქება, ხელი შეუწყეთ საღის სარწმუნოებრივის სწავლის გავრცელებას, მტკიცედ სდგრით ქრისტეს მცნებაზე და ვიდრე უამი გაქცეთ, იქმოდეკეთილსა ყოველთა მიმართ. ამინ.

ლეპ. პ. ცანცაძე.

## იმერლოთობები.

1908 წელში ტფილისის სემინარიის რექტორმა (რუსი) ოლძო ნიკონ ეგზარხოსის წინაშე საკითხი, რომ დასახელებულ სემინარიის არსებული სტიპენდიები უნდა განაწილდეს მხოლოდ იმ მოწაფეთა შორის, რომელნიც ქართლ-კახეთის ეპარქიიდან არიან; და რადგანაც ამ ეპარქიაში შედიოდნენ ქართველებს გარდა რუსი, ბერძენი, ისნი, ისკორნი და სხვანი, ამიტომ სტიპენდიები მათც უნდა რგომდათ. იმერლებ-მეგრელებს და გურულებს კი ტყემალი და ბოლოვიო. ამის ასაბუთებდნენ იმით, რომ სასტიპენდიო წყაროდ ითვლებოდა ის ფული რომელსაც მთავრობა იძლეოდა აღმოსავლეთ საქართველოს საეკკლესიო მამულების სახაზინო შერიცხვის შემდეგ მამულების შემოსავლის მაგირ. ამ აზრს მხარი დაუჭრებოდნენ ერთმანერთში ქართველმა სასულიერო პირებმ და მთ შორის დეკ. იოსებ ჩიხავაძემაცა დღეს კირიონ კათოლიკოსის ეგრედ წოდე, ბულმა პირადმა სეკრეტარმა. მან ქართლ-კახეთის საეპარქიო კრებაზე რუს-ბერძენ-ოს დეპუტატთა, და უფრო კი რუს მთავრობის მასწავლებლიდ ხმა მაღლა განაცხადა: იმერლები ჩეენი ბიძაშვილებია და აქაური სამღვდელოება, განურჩევლად ეროვნებისა, მეგომ,

და ამიტომ ჩეენს შორეულ ნათესაცემს უდინებელობას, ვერაფერს მიუცემთ, რადგან ჩეენის ახლო ნათევებისათვის უფრო უპრიანია. ასე ესმოდა მ. იოსებს, დღეს კათოლიკოსის „ლიჩინ სეკრეტარს“, საქართველოს ერთობები... მაშინ მის წინააღმდეგ გახეთში მშიმე არტილლერიით გაილაშქრა მ. ნიკიტა თალაქვაძე და უმტკიცებდა, რომ იმერლები და ქართლ-კახელები, შე კაი კაცო, ძმები ვართო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ვერ დააჯერა. რუსები მირჩევნია თქვენს თავსათ. ახლა კი არ ვიცით, მ. სოსომ ბიძაშვილად შეიყვანა თავისთან, თუ მად მ. ნიკიტა. დღეს კი შათ შესახებ შეიძლება თქმა: ორიან არიან, ტოლნი არიან, ბაღჩას ჩადიან ჩამდერიან. შეიძლება კათოლიკოსმა შეარიგა ეგინი. მაგრამ კათოლიკოსც მას ფამსაშინა ჰქალაგებდა იმერლელთაგან საფრხის მოლოდინს. იმერლებს იკი უწოდებდა „ბურებას“. ეს იყო ფლავიანე ეგზარხოსის დროს როცა ინგლისელები ეომებოდენ ბურებს. მხოლოდ იმერლების „ბურობას“ კირიონი აწარმოებდა დაცინვით სიტყვიდან: „თქვენებურია“, ასე ეტყოდა ხოლმე ერთ „ბურს“ მეორე „ბურზე“. მ იოსებ ჩიხავაძის ღვაწლი იმერლების საფრხის თავიდან ასაცილებლად დასურათებულია 1908 წელში „ეშმაკის მათრახში“ 4 მაისის № 29. ში. მოგვყავს ეს დახისიათება სავსებით.

„ მ თ ხ ს ე ნ ე ბ ა ი,  
მირთმეული დღედისა ისებას ჩიხავაძისადმი  
დისებთისა ეგვენისა მთხადგრეთაგან.  
მამა წმიდან! \*)

სამებამან სამწმიდაარსმან, ერთლვთაგებაბამ და ერთმეუფებამან, მამამან, ძემან და სულმანწმიდამან, რომელმან წამისყოფით ჰქმნა ციი და ქვეყანა, ხილული უხილავითურთ, მოგადლა თქვენ გონიერება მაღალ, ენამცვრ, ზე ქველ. თვისებათა ამათ გამოაჩინებს ღვაწლი იგი თქვენი სემნარიისა შინა. ჰაზრი იგი თქვენი, რომელ უაღრეს ტკბილისა საყნოსელის საზნო ეყო უფროსთა, კითარ იმერნი იგინი ფრიად მოხერხებულ, რომელ არსუთა-

\*) ვუწყოთ, ვითარ ეგრეთ ისსენებით ებისტოლეთა შიგან, რომელთა მიიღებდით ჩრდილოით კერძო თქვენისა მოძღვრისაგან. ეპისტოლენი იგი იკითხებოდის ყოველთათანა განსაღებლათ შემდგენელისა ბათისა, რომელსაცა, ვითარ ვიეთნიმე მოუთხრობენ, აწებელვების შეკრებად ეპისტოლეთა მათ შთამოებისთვის საანდერძოდ.



რეგ.ნობით სკვითთა ენასა ზედა კლიაუზნიაჟ არიანა, რამეთუ იგინი პპოვებენ ყოველთ, ბირთამი ვიღრე ეპისკოპოსადმდე ყოველადვე ცრუთა მოწმობათა სიღარიბისათა და ესრეთ მთაჩვენებენ თვითი თვისთა გამგეობასა სემინარიისა ლატაკ, შებრიოვებისა ლირსად, ვითარცა ოდესმე გაძაონელთ, მათ უქმნიეს დღესა იგსონავესასა, — ჰაზრი ეგე ფრიაუ კეშმარიტ არს სიტყვის გემა იგი თქვენი, ვითარ იმერნი არიან ბიძისა წულ ქართლელთა და კახელთათვის, ვითარ იგინი ფრიად ბოროტ და კაცისა მოსწრებულად სიტყვისა მიმგებ არიან. არს უქევს მათ წილი სემინარიისა ტფილისისა, ვითარცა „მოსულთა“ (ისარი“ № 26), სიტყვისაებრ თქვენისა (ხოლო ჩვენითა ჰაზრითა სიტყვაი ეგე ფრიად ლომბიერ არს; ჰაზმდა ბრძანებად: „მოთხეულთა“) უცხოისა ქვეყანისაგან, ვითარმედ იმერეთი არს ქვეყანა იგი უკეთ ქართლისა და კახეთისა.

რაისათვის ჰონებენ ცბიერნი იმერნი აღზრდად შვილთა თვისთა ბილწთა და განბრძნობად ყოვლითა ოდენ სიბრძნითა სემინარიასა შინათბილისისასა? ნუ უკავ არ ეყოფის გათ ავაზაკობითა თვისითა წარტაცებით სრულიად საქართველოისა მეფეთა დავითისა აღმაშენებელისა, თამარისა სხივოსნისა და სხვათა დამარცვად იდეილისა მას გელათისასა?

ჰაზ ცბიერო და გვლობნილო ერთი როდენ ძალუმ არს გესლი იგი სიბროტისა შენისა! როდენი წარტაცე სიმდიდრეი ქართლელთა და კახელთა, ვინ მოსთვალოს იგი? რაოდენ შეაწუხე ქართლისა ეპარქიისა მისადგრენი: რუსი და ბერძენი, ოყვინი და ურმიელნი?

ქვეშარიც არს სიტყვი: „არა ჯერ არს მოლებად პურისა მეოლთაგან და დაგებად ძალლთა“ (მათ, 15. 26). დღისითგან აღმობრწყინვებისა სხივისა სემინარიისა ქართლი და კახეთი, ჰერეთი და კუხეთი შინახეიან შეილთა იმერთასა, რომელი მიუგდებენ მათ შეილთათვისთა ვითარცა მფრინავენ იგი გუგულნი მიუკდებენ კურაცხთა თვისთა ბუდეთა სხვათა მფრინავოსა და ესრეთ აზრდევინებენ მათ.

ხოლო ხარჯი სემინარიისა შესანახი, ვითარცა გამოგივლევისთ, შეედრების წლით-წლად დრამების 260,000. („ისარი“ №

28) \*). ჯერ არს ამოგებად, რაოდენიც მომდევნობა მათ წლითგან ჩერი ვიდრე აქამოდმდე, რომელ იქნების, უკეთუ მხოლოსა ნახევარსა აღვიდგინებთ განმავლობასა ცხრა-ათ წელსა, ლრაჭებან  $130,000 \times 90 = 11,700,000$ . ესოდენ დიდ არს წარტაცებული იგი საუნჯე ჩვენი თვინიერ შენობისა მის და შესანახისა სინოდისა კანტორისა და ეგზარხოსნისა ჩვენისა. ქველადცა ჯერ არს ამა უკანასკნელისა საკუთრიად ჩვენდა მითვისებად და ესრეთ შთაგდებად იმერთა ჭირსა შიგან!

მამაო წმიდაო! ჩვენ გვესმა, ვითარ სიტყვასა ავსა გვადრებენ ვიეთნიმუ პირნი ბილწნი. გრწმენინ, მამაო, ვითარმედ ჩვენთან არს ლმერთი მარადის იხსენებდი, ვითარ უფალმან ჩვენმან თავს იდვა ტანჯვაი ვიდრე სიკვდილა-მდე ურწმუნოთა ურიათაგან. ნუ გეშინის ცემულ იქმნენინ სიყვარულითა მოძღვრისა თქვენისა, ღირსისა მამისა კ—ისა, სკვითთაგან წამებულისა, რომელიცა ლდესმე იტყოდა, ვითარიედ „მექმლესიი ქართველთა ქეთილ ოღონდასა შინა არს, ფრიად მაღლოდების, გამითი-უამად ახლდების ახალ-ახალითა სახეებითა“ („კრატკი იცერებ ისტორია ერთი კუნძული“ ც. „ცტ. 16\*\*)

ხოლო ერთსა გვადრებო, მამაო! მოჰყავ ყური შენი და იმინე ჩვენი ჩვენ, ამისა მომრთმენი, თუმცადა ვიგულვით იმერად და ვსცემობთ იმერეთსა ზეპოსა, ქვეყანისა ლი-

\*) დრამები—20 კპ.

\*\*) უწყოდეთ, რამეთუ კაცი ესე შემდგომდ უამად რწმუნებასა უყოფდა ქილაქესა ჩრდილოსა კი ბათა ლვთივ განბრძნობილთა მამათასა, ვითარმედ ეკალესია ივერიისა დაკინდის და ალოხრდის უკანასკნელსა საუკუნეებისა, ხოლო წმიდაი იგი კრებით სიტყვის უგებდა მას ესრედ: „მეუფეთ წმიდაო,, ღდეს იტყოდი მართალისა, წელსა ჩშა—სა, ანუ აწინდელსა უამსა?“ და ემსავებოდა მდგომარეობათ კაცისა მის მდგომარეობასა კაცისა უგუნურისისა, ღდეს იგი აღიღებდა კავალე ერთსა და იტყოდა: „უფალო ღაისე სახლი ჩემი ყოვლითა ღდენ სიმდიდრითა, ვითარცა კაცალი ესე“, — და ჰყო უშემუსერაი კაცლისა მის, რომელიცა აღმოჩნდა ფუჭ. ხოლო კაცი იგი ღალადგებდა ხმა ღიდითა და იტყოდა: „უფალო, ძალლისა უყოფის, უგულებელს ჰენ სიტყვანი იგი ჩემინი“, და ესრეთ შენანებდა უგუნურებსა თვისსა.

ხეთსა. სადა იგი სდინ წყალნი ძირულისაი და ჩერიმელაისანი, გარნა ნამდვილ არა ვგიეთ იმერ იმერთა მათ მზაკერობითა თვისითა ტყვე გვკვნეს და მოგვწყვილნეს დედასა ქართუსა. ეგოდენ შხამ არს საწერტელი სიბოროტისა მათისა!

მას უამსა შინა მოძღვარნი ჩვენნი იქურთხეოდიან ქალაქსა ნიქოზსა, ხოლო აწ წარსაჭყმედელსა მას ქუთათისსა შინა. ნუ შეორგულდებინ, მამაო, ვითრ იგი ვიტყოდეთ სიტყვისა ფუჭსა. ნაშთნი იგი ძველნი ვიდრე მეტრიკულთა წიგნთადმდე ჩყო წლადმდე გამოაჩინებენ სიმართლესა ჩვენსა. კვალიადცა ვიმოწმებთ ისტორიისა და ოროლრაფიისა შეცნიერსა გატონიშვილსა ვახუშტისა (ესე საჩმეულ არს, რომეთუ იგი იმერ არა არს) მას შინა, რომელ ქვეყანი იგი ლიხენისა, ხეობანი ძირულისაი და ჩს რიმელაისანი ვიდრე ვახანისა წყლადმდე და დაბისა ვერტყვილისა, არს ქართლისა. აპა იგუცა მოწმობაი: „სურამისა დასავლით ლიხის მთას გასდის ხეფინიხევის წყალი და მიერთვს მიულას. არამედ არს ვერტყვილამდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვილიდამ ნადაბურამდე ხეფინიხევსა... ფონას გასდის ჩერიმელის მდინარე და იდის დასავლეთ სამხრეთშუა მებოძირის ზეითამდე, მას ქვეით დაბის ქვებამდე არს ქართლისა (ვხეხუშრი. „საქ. გეორ.“ გვ. 122). ნუმცა შევალს, მამაო გულსა თქვენსა ეჭვი, ვითარმედ საბუთნი ესე მოყვანილ არიან იმერულითა „მოხერხებითა“, გინა ხრიკითა.

აწ ვედრება ჩვენი ესე არს: მიგვიღე საფარველსა ქვეშე თქვენისასა, ნუმცა დაგვირევებ წარწყმედად ბოროტთა იმერთაგან. მეოს გვეყავ ჩვენ მოშორებად ამათგან და შეერთებად ეპარქიისა ქართლისა და კახეთისათვა, ვითარცა იგი ოდესმე ვიყვენით, და ჩვენცა, დამარხველნი გულთა შინა ჩვენთა სიკეთისა ამის, მოვიქცევით ქორწებად ქალაქსა ტფილისა, საჩიჯავძოსა ეკულესისა, ოდეს მოგვინდების ძველისა ცოლისა განტევებია და ახლისა შერთვი, თალინებისა შენინებისა გრძელებისა.

გესმენეს, ვითარმედ სიტყვისა თქვენსა მიღებათ ფრიადი აქვს, სადაცა ჯერ არს, და ნუ უგზლებელს ჰყოფ ვედრებასა ჩვენსა, რა-

თა ჩვენ, ჰოი მამაო სახიერო, ვაქებდებულისა ვაღიდებდეთ ყოვლად ქებულსა და დიდებულსა სახელსა შენსა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ნამდვილთან სწორია: ლიხელი“.

პირი მოხსენებისა, რომელიც საკათოლიკოს საბჭოს წევრებმა საბჭოს 23 მაისს სხდომაზე წარუდგინეს პატრიარქ-კათოლიკოსს.

„საქართველოს საეკლესიო კრებამ წარსულ წლის ენცენისთვეში ჩვენ აგვირჩია საკათოლიკოს საბჭოს წევრებად და, სხვებთა ერთად, ჩაგვაბარა ახლად ფეხს დამდგარ ეკლესის მოწყობის, მოწყესრიგების და აღმენების საქმე. უაღრესი შორიწებით და უსაბღვრო კრძალულებით მივიღეთ ჩვენ ესეთი დაგალება და ფიცი დაგსდეთ, საზომისებრ ცოდნისა, გამოცდილებისა და ძალისა ჩვენისა, გვემსახურნა იმ წმიდა საქმისათვის, რომელიც, კრების მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ „დებულებით“, აგებული უნდა იყოს კოლეგიურ და თანამშრომელობით პრინციპშე. სამწუხაროდ და სავალალოდ, ამ ჩვენს მისწრავებას თავიდანვე წინ გადაეღმა მისი უწმიდესობის, ჟეკათოლიკოს – პატრიარქის სურვილი საეკლესიო მართვა გამგეობაში აბოლიუციიზმის და მონარქიზმის დამყარება – განმტკიცებისა. ასეთ სურვილს და სულის კვეთებას, რომელიც შეადგენს მასი რვა თვის საქეომშერობელობის დეიტ-მოტივს, სიტყვიერი ფორმულიროვკა გაუკეთდა აპრილის 10 სხდომაზე, როდესაც მისმა უწმიდესობამ საბჭოს ერთ-ერთ წევრს შენიშვა: „შენთვის საქართველოს ეკლესიის ვექილობა არავის მოუნდევია,“ და აგრეთვე მაისს 15, როდესაც მან საბჭოს განუცხადა: „რა აზრი აქვს ქანქის ყრას, როდესაც მე თქვენი თანახმა არა ვარო.“ ამ ნიაღაგზე, რომელსაც კათოლიკოზთან ერთად მუკაითად ამუშავებს საბჭოს წევრი. დეკ. 6. თალაქვაძე, თავისი ღიასშესნიშვნავი ფორმულით: „რაც კათოლიკოსსა სურს, ის ჩამათს არ თხოულობსო“, საბჭოში დ მყარდა ისეთი განწყობილება, რომ ნაყოფიერი, შემოქმედებითი მუშაობა შეუძლებელი ხდება. აქ უფრო „შეზღუდულ უფლებათა“ აღდგენას ეტრიფიან, ვიდრე დაჭვეოთებულ ეკლესიისას. აქ უფრო „სასიამოენ მეგობრებს“ ეძებენ, ვიდრე საქმის მცოდნე და შრომის მოყვარე ადამიანებს; აქ უურადღებას აქცევენ არა ინიციატივას, არამედ იმას, ესი შეუთვნის ინიციატივა; აქ უფრო პირად პოლიტიკას აწარმოვებენ, ვიდრე საერთო საეკლესიო ინტერესების იცავენ. ამ მიხების გამო ჩვენი ეკლესიის ცხოვრება შეფერხებულ შეჩერებულია და მას დიდი განსაცდელი მოელის. ჩვენ არ ძალგვის საქმეს დავეხმაროთ, ვინაიდან საკათოლიკოს საბჭოში, სადაც უმრავლესობის აზრსაც კი არ სცემენ პატივს, ჩვენს ენდრეგიას და ღრმოს წერილმან ანგარიშებსა და პირად კინკადიანის



ანდომებენ, განშრახ ხელს უშლიან სამუშავო აპარატის შექმნა-მოძრავებას და ამით ნაყოფიერ მუშაობის საშვალებას გვისპობენ. გაცადებთ რა ამას, მოვალეობადა გსთვლით დაგუშატოთ, რომ, უკითხ საბჭოში ბოლო არ მოეღო არსებულ განწყობილებას, გულდადებითი მუშაობის პირობები არ შეიქმნა, ჩენე. იძულებული ვიქნებით მივმართოთ საზოგადო საეკლესიო აზროვნების მსჯავრს და ყოველგვარი პასუხის მებრძობა დავაკისროთ მთ, ვისაც ჩენი აქ ყოთნა ზედმეტ და არასასიამოვნია ბარგად მიაჩინათ. ამ განცხადებას საილიუსტრაციად ეუზრავთ რამოდენიმე ფაქტს ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში დამარტებულ თვითნებობისას, რომელიც ოქმებში ან სულ არა აღნიშნული, ვინაიდგან ბეგრი ოქმი ჯერ არც კი დაწერილა, ანა და აღნიშნულია არა სახეცებით.

1. მის უწმიდეობას არა ერთხელ განუცხადებია საყვედური ჩემი უფლება, როგორც კათოლიკოზისა, შეზღუდულია; განსაკუთრებით მის გულისწყრობას იწვევს ფრაზა — „საბჭოს მონდობილობით“ (§ II დებულებისა, მუხლი 3 და 3), რომელშიაც ის პირად დამცირებას ხედავს, საკათოლიკოზო საბჭოს ბევრი დრო დაუკარგავს, იმის მტკიცებაში, რომ, თუ ასეთ „შეზღუდვას“ მართლა ადგილი აქვს, საბჭო რა შეამია, ეს კრების საქმეა კრებას კი კონკრეტული პიროვნება არ ჰყოლია სახეში, როდესაც ამ დებულებას ამუშავებდა და ამტკიცებდათ.

2. მიუხედავად იმისა, რომ კრების მიერ მიღებულ და დამტკიცებულ სასკოლო დებულებათ სასულიერო სახწავლებლები ავტონომიურად განაგებენ თავიანთ თავს და კველა თანამდებობის პირთ თვითონვე იჩჩევენ, მისი უწმიდესობა ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ სახწავლებელთა ბატონზატონი ის ძველებურად ვეღარ იქმნება. იმას არა ერთხელ დაუტესავს სემინარიის რეკტორი საბჭოს ოფიციალ კრებაზე, რატომ ჩემდა ნებადაუზროველად და დაუკითხავად მოიწვიეთ ინსპექტარი და მახწავლებლებით?

3. მღვდელმონაზონ მირიანის არქიმანდრიტათ კურთხვის სურილმა არა ერთი და ორი საათი წარაზოვა საკათოლიკოს საბჭოს; მისი უწმიდესობა კატეგორიულად ამტკიცებდა: „მე ნება მაქს მირიან ვაკურთხო, ვინაიდგან არმ, ზოს მონასტერი ჩემს ეპარქიაშია“. როდესაც ამაზე სხვებმა შენიშნეს ჯერ კიდევ საკმათო და გამოსარკვევია, რომელ ეპარქიას ეკუთვნის ისო, დეკ. 6. თალაქვაძემ თამამად გვამცნ მისი უწმიდესობის გულის ნადები: რაც კათოლიკოზს სურს ის კამათს . რ თხოულობსთ.“

4. მაისის სხდომაზე აღმრთულ იყო საკითხი კანცელარიის გამგის კ ბინების შესაკეთებლად თხოთმეტით თუმნის გადადების შესახებ, მისი უწმიდესო-

ბა, რომელიც გამგის პიროვნებას ვერ უკიდესობით ამისი წინააღმდეგი იყო, რაღანაც საბჭოს ფული არ აქვსო. როდესაც მას სთხოვეს საკითხს კენჭი ვუდაროთ, მან განაცხადა: „რა აზრი აქვს კენჭის ყრას, როდესაც მე თქვენი თ.ნახმა არა ვარო“.

5. ვისაც ავტოჭეფალიის გამოცხადების პირველ ჩენი საეკლესიო ცხოვრება: სათვის თვალი ულვნებია, იმან იცის—თუ რა საზიტარ ოპოზიციაში ჩაუდგა დროებით მმართველობას ცნობილი დიაკონი ტ. ბაკურაძე, რომელიც რუსების სასულიერო მთავრობასთან ურთიერთობასაც კი არ მოერიდა, იმის მავრად, რომ ასეთი ადამიანი, როგორც სამშობლო ეჭლების წინააღმდეგ მმოქმედი, ჯეროვან პასუხის გებაზი მ ეცა მისმა უწმიდესობამ ის, საბჭოს დაუკითხავად, აკურთხა. როდესაც საბჭოს ერთმა წევრმა შენიშნა, რომ საქართველოს გელების შეურაცხყოფაო, კათოლიკოსმდე უპასუხა: „შენთეის საქართველოს ვექილობა არავის მოუნდვითა“. მ ეცა მისმა უწმიდესობამ ის საბჭოს დაუკითხავად, აკურთხა. როდესაც საბჭოს ერთმა წევრმა შენიშნა, რომ ეს შენიშნა არსებითად უსაფუძლოა, ფორმალურად ის წარმოადგენს მოტაცებას იმ უფლებისას, რომელიც საკათოლიკოზო საბჭოს ეკუთვნის, თუ საპირო იყო ასეთი შენიშნა, ის კათოლიკოსს უნდა გაეკეთებია საბჭოს მინდობილობით (§ 11 დებულებსა, მუხლი 3).

6. ზეიდი მაისის თარიღით (ძველი სტილი) მისმა უწმიდესობამ საბჭოს რამდენიმე წევრს წერილობითი შენიშნა დაუგზავნა, გითომც და სამსახურში არ წესირეად ისარულისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს შენიშნა არსებითად უსაფუძლოა, ფორმალურად ის წარმოადგენს მოტაცებას იმ უფლებისას, რომელიც საკათოლიკოზო საბჭოს ეკუთვნის, თუ საპირო იყო ასეთი შენიშნა, ის კათოლიკოსს უნდა გაეკეთებია საბჭოს მინდობილობით (§ 11 დებულებსა, მუხლი 3).

7. მღვდელმა ტ. ბაკურაძემ და მღვდელ-მონაზონ მირიანმა ისეთი უწმიდესობა ჩაიღინეს სიონის ტაძარში წირვის დროს, რისთვისაც საკათოლიკოზო საბჭოს შეერთებულმა კრებამ, მიტროპოლიტ ლეონიდის თავმჯდომარეობით. დროებით მღვდელმოქ. აუკრძალა მათ. საეკლესიო კანონებით მღვდელმოქმედების დაბრუნება იმათთვის შეეძლო მხოლოდ იმ ორგანოს და იმ მღვდელმოთავარს, რომელთაც აუკრძალეს ის ამათ ე. ი. საკათოლიკოზო საბჭოს და სასამართლოს შეერთებულ კრებას და მიტროპოლიტ ლეონიდს. (მოციქულთა კანონები 32; 12, 18, 1 მსოფ. კრ. 5, 2 მსოფ. კრ. 6, ანტიოქ. 6, სარდიკ. 13) მისმა უწმიდესობამ კი სასამართლოს წევრთა დაუსწრებლად და მხოლოდ საბჭოს რამდენიმე წევრთა თანხმობით, წ. ნა-აღმდეგ მიტროპოლიტ ლეონიდის სურვილისა, მათ დაუბრუნა ალკრძალული მღვდელმოქმედება.

8. ღვინობისთვეში, როდესაც საკათოლიკოზო



საბჭოში საკითხი დაისება საბჭოს კანცელარიის მდი-  
ნის მოწვევის შესახებ, უმრავლესობამ ამ თანამდებო-  
ბაზე აირჩია გამოცდილი კანცელიარიის ბ. დ. დავი-  
თაშვილი, რომელიც საქართველოს ეკკლესიის მმა-  
რთველობის კანცელარიას ექვესი თვე უსასყიდო და და-  
ნაყოფერად აწარმოებდა. მისმა უწმიდეს ბაზ კატე-  
გორიულად განაცხადა: „თუ დავითაშვილი საბჭოში  
შემოვა, მე აქედან გავალ, ვინადან ჩეგნ შორის სა-  
გვარეულო მტრობა არსებობსო. ამ მუქარით იმან  
აიძულა საბჭო მდივნად მოეწვია ისეთი ადამიანი, რო-  
მელიც როგორც ნათქვამი იყო და მისმა მოქმედება-  
მაც დაამტკიცა, მდივნობისათვის ყველაზე ნაკლებ იყო  
და არის მომზადებული.

9. მიუხედავად იმისა, რომ საექლესიო კრებამ  
თავისი აზრი გამოსთქვა სამღვდელო პირთა დაჯილ-  
დობის შესახებ და ამ თემაზე საბჭოში წარდგენილია  
ერთ ერთი წევრის ვრცელი მოხსენება, რომელიც  
მესამე თვე განუხილველად გდია იქ, ჩარეკიცში  
საშინელი ანარქია სუფექს საჩუქართა მოცემის საქმე  
ში. საფუძველი ამ ანარქიას დაედგა პირველ იქტო-  
ბერს, როდესაც მისმა უწმიდესობამ საკათოლიკოსო  
საბჭოს დაუკითხავად ერთ დეკანოზ ისეთი მაღალი  
ჯილდო მისცა, როგორც მიტრაა. მას შემდე აც ის  
თვის ნებით აჯილდოვებს ყოველგვარ ჯილდოთ ვი  
საც მოისურვებს და ამით ეპარქიალურ მდვდელ მთა-  
ვრებს თვითნებობის მაგალითს აძლევს.

10. კათოლიკოსის მოსაყრის, ჰუსლელ მი-  
ტროპოლიტი ლეონიდის პროექტმა ყავთიდი სასინო-  
დო კანტორის და ექსარხოსის კანცელარიის წენობა-  
თა ხელში ჩაგდების შესახებ, რომელიც კათოლიკო-  
ზის დაუკითხავად იყო შემუშავებული, გამოიწვა დი-  
დი გულის წყრომა მისი უწმიდესობისა და უცორს  
თავს დატეხა დაუმსახურებელი შენიშვნა: „შენ არც  
კი გაქვა ნება აქ, საბჭოში, იჯდეო“, თუმცა. ის კრე-  
ბას ესწრებოდა არა თავის ნებით, არამედ თანახმდ  
თვით კათოლიკოზისა და საბჭოს სიტყვიერი მოწვე-  
ვისა. რასაკირეველია, ასეთ შენიშვნის შემ უკ ყოვლათ  
სამღვდელო მოსაყრელ იძულებული შეიქმნა საბჭოში  
დენი ამოეკეთა და მართლაც მთელი თვე კრებაზე არ  
გამოცხადებულა, სანამ საბჭოს მოთხოვნილებით  
ოფიციალურად, წერილობით არ გამოიწვიეს ის.

11. ზემოდასახელებ ლი ბაჟურაძე მისმა უწმი-  
დესობამ მღვდლად აკურთხა არა თავი, მცხეთის ეპა-  
რქიაში, არამედ თბილ. ხიხაში, რომელიც ადგილო-  
ბრივ მღვდლად თავის და სხვა სათან.-დო როგორის  
დაუკითხავად, თავის ეპარქიაში გადაიცხა, ამ გვარ  
მტაცებლობისა და სხვა ეპარქიაში ხელის გარევისა  
თვის საეკლესიო კრებებ, სასტიკ კანონს განჩენენ.  
[მოც. კან. 85, 2 მსოფ. კრ. 2, 3 მსოფ. კრ. 8, 4  
მსოფ კრ. 5. ანგირ 18, ანტიოქ. 13].

12. საქათოლიკოზო საბჭომ დაწიუნა ურნალ  
„სეიციცხოვლის“ სარედაქციო საგამომცემლო კომი-  
სია და მის ერთ ერთ წევრად დეკ. ი. ჩივავაძე; ამათ  
უნდა აერჩიათ რედაქტორი მიუხედავად ასეთი და-  
დგენილების, მისმა უწმიდესობამ ჩიჯ-ვაძე, თანამთად  
მისი თხოვნისა, თავის ნებით გამოაცხად რედაქტო-  
რად და ამის გამო უჭრნ ლის გამოცემის საქმე ჩა-  
ზალა.

13. ვინაიდგან საკათოლიკოზო საბჭოს გამგედ  
არჩეულ იქმნა დეკ. კ. ცინცაძე წინააღმდეგ კათოლი-  
კოზის სურვილისა, რომელმაც ამ თანამდებობაზე  
ცნობილ ალ. დავითაშვილის კანდიდატურა წ. მორავენა,  
მ. მა ცინცაძის მოქმედებას ის აშკარა წინააღმდებობას  
უწევს, უმიზეზოდ წუნს 1 დებს, კრიგაში უცინა და  
ყოველ ღმის ხმარობს, რომ როგორმე აიძულოს თა-  
ნამდებობაზე უარი სთქვას. საქმე იქამდის მივიღა,  
რომ 16 მაისს კრებაზე მას სიყალბის ჩ. დენ. ც კი  
დასწამა.

14. მისი უწმიდესობა ანგარიშს არ უწევს არ-  
ხებულ ხარჯთ-აღრიცხვას და იმის გარდა, რაც დადე-  
ბულია მის ჯამაგირად და სასახლის შესახახად, განუ-  
საზღვრელ თანხას თხოვლობს; ასეთი მოთხოვნილებით  
ის მეტად უხერხულ და აურანელ მდგომარეობაში  
აყენებს საკათოლიკოსო საბჭოს, რომელსაც მართლა  
არც იმდენი შეძლება აქვს, რომ უანგარიშოდ და  
ხარჯთ აღრიცხვის გარეშე, პირად საჭიროებათა დასა-  
კმაყოფილებლად, გაიროს ფულები“.

ეს საყურადღებო დოკუმენტი წარმოა-  
დგენს ფრიად მორიცებულ და შემსუბუქებულ  
გამოხატულებას იმ თვითნებობის პოლიტიკი-  
სას, რომელსაც აწარმოებს კათოლიკოზის კი-  
რიონი საბჭოში და მის გარეშე, ეკკლესიის  
საზარალოდ. დღვანდღელი ქცევა და მოქმედე-  
ბა კათოლიკოზისა მჭიდროდ და ბუნებრივად  
აჩის დაკავშირებული მთელს მისს წარსულ  
მოღვაწეობისთან და ამისათვის არავის არ  
უნდა გაუკვირდეს ასეთი ამბები.

გამომცემელი ქ. ტფილისის ამღვდელობა.

„ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგის რწმუნე-  
ბული დეკ. ქ. ციცენიშვილი.